



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№881

2016 წლის 17 აგვისტო

ქ.ლაგოდეხი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებებისა და სახედრო სამსახურის შესახებ“ 22-ე, 24-ე მუხლის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N 349 „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. მოქალაქეთა 18-დან 27 წლამდე საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვევა განხორციელდეს 2016 წლის 1 აგვისტოდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

მუხლი 2. საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 3. „სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიქმნას „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის გამწვევი კომისია“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში“, გამოცხადებულ უწყებაში აღნიშნულ დროს.

მუხლი 5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური“ ვალდებულია, სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებული, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი და გაწვევას დაქვემდებარებული წევვამდელები გადაიყვანოს საქართველოს შემკრებ - გამანაწილებელ პუნქტში წევვამდელთა გამოცხადების გრაფიკის მიხედვით.

მუხლი 6. დაევალოს შ.ს.ს. ლაგოდეხის რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს“ იმ წევვამდელების მოძებნასა და სამედიცინო კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

მუხლი 7. დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის“ უფროსს გიორგი მანგოშვილს, გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სათანადო ფულადი სახსრების გამოყოფა გაწვევის ჩასატარებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

მუხლი 8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

მუხლი 9. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი:  ვარლო ჯამბურია